სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

61672055047622

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220525270

რეგისტრაციის თარიღი

10.05.2022 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე გვანცელაძე
მისამართი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ა
ტელეფონი: 2 23-07-87

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

2022 (ორიათას ოცდაორი) წლის 10 (ათი) მაისს მე, ნოტარიუს ეკატერინე გვანცელაძეს ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №39 „ა“, პირველი სართული. მომმართეს: **მანანა ბოლქვაძემ** (დაბ 03.04.1969წ, თბილისი, პ/ნ 01005004660); **ლელა ფორჩხიძემ** (დაბ 12.03.1968წ, ბაღდათი, პ/ნ 09001020453) და **ლევან ავალიანმა** (დაბ 06.10.1966წ, თბილისი, პ/ნ 01021012159, სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობა N TH2479017) მათ განაცხადეს, რომ სურთ შეადგინონ მინდობილობა, რომელიც დამოწმდება სანოტარო წესით. მე დავადგინე **მანანა ბოლქვაძის, ლელა ფორჩხიძის და ლევან ავალიანის** პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი, ზემოთ მითითებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **მანანა ბოლქვაძემ, ლელა ფორჩხიძემ და ლევან ავალიანმა** მომმართეს. ვადასტურებ, რომ **მანანა ბოლქვაძის, ლელა ფორჩხიძის და ლევან ავალიანის** ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნია. მე შევამოწმე **მანანა ბოლქვაძის, ლელა ფორჩხიძის და ლევან ავალიანის** ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე მინდობილობა, რომელიც მათ თვითონ წაიკითხეს. **მანანა ბოლქვაძემ, ლელა ფორჩხიძემ და ლევან ავალიანმა** მკაფიოდ და ნათლად განაცხადეს, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მათ ნებას. **მანანა ბოლქვაძემ, ლელა ფორჩხიძემ და ლევან ავალიანმა** ჩემი თანდასწრებით, პირადად მოაწერეს ხელი შემდეგ მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ჩვენ, მანანა ბოლქვაძე, ლელა ფორჩხიძე და ლევან ავალიანი ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებთ **თამაზ სიხარულიძეს** (პ/ნ 01002024850) მასზედ, რომ იყოს ჩვენი წარმომადგენელი საქართველოში, ქ.თბილისის მერიაში, მისადმი დაქვემდებარებულ სამსახურებში, კერძოდ არქიტექტურის სამსახურში, წარადგინოს და მიიღოს ნებისმიერი სახის ცნობები, ნახაზები, პროექტი, ნებართვა.

შეიტანოს და მიიღოს ნებისმიერი სახის დოკუმენტი და ინფორმაცია, მათ შორის აზომვითი ნახაზები, შეიტანოს ყველა სახის განცხადება და შეუზღუდავად მოაწეროს ჩვენი სახელით ხელი საჭიროებისამებრ სათანადო დოკუმენტაციას, ასევე მიიღოს საარქივო მასალები ნებისმიერი არქივიდან და მოითხოვოს და მიიღოს ყველა სახის ინფორმაცია, ამონაწერები, დოკუმენტები.

მინდობილობა გაცემულია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ე. გვანცელაძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

მინდობილობა გაცემულია და ძალაშია 2023 (ორიათას ოცდასამი) წლის 10 (ათი) მაისის ჩათვლით.
გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა № 507 “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ” 31-ე მუხლისა - 30 (ოცდაათი) ლარი: დღგ 5.4 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის – მუხლი 39 საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის დადგენილებისა № 507 “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ”.

ხელმოწერა მანანა ბოლქვაძე

ხელმოწერა ლელა ფორჩხიძე

ხელმოწერა ლევან ავალიანი

ნოტარიუსი ეკატერინე გვანცელაძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

34493731524222

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220880294

რეგისტრაციის თარიღი

13.07.2022 წ

ნოტარიუსი: ნინო გელაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი #2, სართული #2
ტელეფონი: 591701134

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაორი წლის ცამეტ ივლისს მე ნოტარიუსს, **ნინო გელაშვილს,** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი #2, სართული #2, პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა **მეგი ნიკორაშვილი** რომელმაც განაცხადა, რომ ამჟამად იმყოფება **საქართველოში** და სურს ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში შესაბამისი უფლებამოსილება მიანიჭოს **თამაზ სიხარულიძეს** და დაადასტუროს იგი სანოტარო წესით. მე დავადგინე სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობა სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **მეგი ნიკორაშვილი** (დაბ.30.07.1970წ. რეგისტრირებული: ცხინვალი ბაღების ქ. N 12, პირადი #59002006306, პირდობის მოწმობის სერია 13IN01807 გაც.13.07.2015წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ) დამიკავშირდა. სანოტარო მოქმედების შესრულებას ესწრებდნენ: **ვახტანგი ამირაჯიბი** (დაბ.01.07.1997, რეგისტრირებული: თბილისი ვასილ ბარნოვის ქ. N 49/29, პირადი #01017056506), როგორც **მეგი ნიკორაშვილის** ნდობით აღჭურვილი პირი (ხელმომწერი) და **კონსტანტინე მარღანია** (დაბ.17.12.1984წ რეგისტრირებული: თბილისი გაბრიელ სალოსის მოედ. N 3 ბ. 1302, პირადი #62001024570), როგორც მოწმე. ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილეთა ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნდა. სანოტარო მოქმედების ყველა მონაწილე (მოწმის ჩათვლით) ნოტარიუსის მიერ გაფრთხილებულ იქნა მოწმედ ყოფნის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ, მხარემ და მოწმემ განაცხადეს რომ არ არსებობს მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებები. მე, ნოტარიუსმა, სანოტარო მოქმედების მონაწილეებს განვუმარტე სანოტარო მოქმედების შინაარსი და მისი შესრულების სამართლებრივი შედეგები, განმარტებების მიცემის შემდეგ, მე პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში, მოწმეთა თანდასწრებით დავადგინე„მიმნდობის“ ნება, რომლის შესაბამისადაც შევადგინე მინდობილობის შემდეგი ტექსტი:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ოცდაორი წლის ცამეტი ივლისი . **მეგი ნიკორაშვილმა** (დაბ.30.07.1970წ. რეგისტრირებული: ცხინვალი ბაღების ქ. N 12, პირადი #59002006306, პირდობის მოწმობის სერია 13IN01807 გაც.13.07.2015წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ) რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მიმნდობი“, **თამაზ სიხარულიძეს** (დაბ.23.01.1964წ. რეგისტრირებული: საქართველო, ქალაქი თბილისი, აბასთუმნის ქუჩა, N 8, ბინა 17, პირადი #01002024850), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც „მინდობილი პირი“, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება: „მინდობილი პირი“ უფლებამოსილია წარმოადგინოს და დაიცვას „მიმნდობის“ ინტერესები თბილისის მერიაში, მისადმი დაქვემდებარებულ სამსახურებში, კერძოდ არქიტექტურის სამსახურში, სსიპ „თბილიის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში“, წარადგინოს და მიიღოს ნებისმიერი სახის ცნობები, ნახაზები, პროექტი, ნებართვა შეიტანოს და მიიღოს ნებისმიერი სახის დოკუმენტი და ინფორმაცია მათ შორის აზომვითი ნახაზები, შეიტანოს ყველა სახის განცხადება, და შეუზღუდავად მოაწეროს ხელი „მიმნდობის“ სახელით საჭირო ნებისამებრ სათანადოდ დოკუმენტაციას, რაც უკავშირდება პროექტს, პროექტის კორექტირებას, აზომვით ნახაზებს ასევე მიიღოს საარქივო მასალები ნებისმიერი არქივიდან და მოითხოვოს და მიიღოს ყველა სახის ინფორმაცია, ამონაწერები , დოკუმენტები.

წინამდებარე მინდობილობის ტექსტი ჩავიწერე მე, ნოტარიუსმა, რომელიც პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში წავუკითხე „მიმნდობს“. „მიმნდობმა“ დამიდასტურა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას და რომ მინდობილობის გაცემის მომენტისათვის იგი არ იმყოფება რაიმე სახის ფიზიკური, ფსიქიკური ან რაიმე სხვა სახის ზეწოლის ქვეშ და რომ მის ნაცვლად მინდობილობის ტექსტზე ხელის მოწერის უფლებას ანდობს **ვახტანგი ამირაჯიბს.**

მინდობილობა გაცემულია განსაზღვრული ვადით და ძალაშია ორი ათას ოცდაორი (2022) წლის ცამეტი (13) აგვისტოს ჩათვლით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ (03) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის ნინო გელაშვილის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა „მინდობილ პირს“.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების (29.11.2011 წ.) 32ე მუხლის საფუძველზე - 60 (სამოცი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 5 (ხუთი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. – 10 (ათი) ლარი და ოთხმოცი (80) თეთრი, ჯამში: 75 (სამოცდათხუთმეტი) ლარი და 80 (ოთხმოცი) თეთრი.

მიმნდობის ნაცვლად მისივე თხოვნით ხელს აწერს ვახტანგ ამირაჯიბი

მოწმე კონსტანტინე მარღანია

ნოტარიუსი _____ / ნინო გელაშვილი /

საქართველო. ნოტარიუსი ნინო გელაშვილი * GEORGIA. NOTARY NINO GELASHVILI

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

31828038716722

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N22848082

რეგისტრაციის თარიღი

07.07.2022 წ

ნოტარიუსი: გიორგი ჭიტაშვილი
მისამართი: ქალაქი თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა #38
ტელეფონი:

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ქალაქი თბილისი, ორი ათას ოცდაორი წლის შვიდი ივლისი. ჩემთან, საქართველოს ნოტარიუს გიორგი ჭიტაშვილთან, ბიუროში, მდებარე მისამართზე: თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა № 38, გამოცხადდა: **მაკა ობოლაშვილი** (დაბადებული 17.06.1975 წელს, პირადი ნომერი: 12002000233, რეგისტრირებული მისამართზე: ქალაქი თბილისი, სოფელი დიდი ლილო, ვაჟა-ფშაველას ქუჩა, N 5). მან განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც უფლებამოსილებას მიანიჭებს **თამაზ სიხარულიძეს** (დაბადებულს 23.01.1964 წელს, პირადი ნომერი: 01002024850) მისი საქმეების წარმოებაზე. მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მიმნდობის პირადობა დავადგინე მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა. მინდობილობის ტექსტი წავუკითხე მიმნდობს და განვუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მიმნდობმა თავადაც წაიკითხა მინდობილობა, განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა შემდეგი შინაარსის დოკუმენტს:

მინდობილობა

დღეს, ორი ათას ოცდაორი წლის **შვიდ ივლისს** მე, **მაკა ობოლაშვილი,** შემდგომში "მიმნდობი" (რომლის რეკვიზიტები მითითებულია ზემოთ), წინამდებარე მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ **თამაზ სიხარულიძეს,** შემდგომში "მინდობილს" (რეკვიზიტები მითითებულია ზევით), მასზედ, რომ ის იყოს ჩემი წარმომადგენელი საქართველოს ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, არასახელმწიფო, ადმინისტრაციულ ორგანოში, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, მისდამი დაქვემდებარებულ სამსახურებში, კერძოდ არქიტექტურის სამსახურში, წარადგინოს და მიიღოს ნებისმიერი სახის ცნობა, ნახაზი, პროექტი, ნებართვა, შეიტანოს და მიიღოს ნებისმიერი სახის დოკუმენტი და ინფორმაცია, მათ შორის აზომვითი ნახაზები, შეიტანოს ნებისმიერი სახის განცხადება, ჩემი სახელით შეუზღუდავად მოაწეროს ხელი სათანადო დოკუმენტაციას, ასევე მიიღოს საარქივო მასალები ნებისმიერი არქივიდან, მიიღოს და წარადგინოს ნებისმიერი საჭირო დოკუმენტი, გადაიხადოს გადასახდელები და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალებების შესრულებასთან.
მინდობილობა გაცემულია ექვსი თვის ვადით.
მინდობილობა გაცემულია უძრავი ქონების განკარგვის (გაყიდვის, გასხვისების, გაქირავების, უფლებრივად დატვირთვის და ა.შ) უფლების გარეშე.
მინდობილობა შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის, გ.ჭიტაშვილის, არქივში, ხოლო ორი გადაეცა მიმნდობს.
გადახდილია სანოტარო საზღაური, "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის № 507 დადგენილების (რომელშიც შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 30.05.2022 წლის № 272 დადგენილებით) 31-ე მუხლის თანახმად, 18.00 ლარი, ასევე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, ზემოთმითითებული დადგენილების 39-ე მუხლის თანახმად, 5.00 ლარი, სულ 23.00 ლარი.

მიმნდობი: მაკა ობოლაშვილი

ნოტარიუსი: გიორგი ჭიტაშვილი